ბრიგადამ ჩასვლისთანავე გამოუშვა კედლის ვახეთი სათაურით „ვაშენოს სოციალიზმი“, რომელშიც აღგი-ლობრივი სკოლის პ/კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ბრიგადამ ჩაატარა საუბრები როგორც პ/კოლექტივ-ში, ისე გლეხობაში. საღამოობით გლეხობა იყრიდა თავს ბრიგადის ბინაზე, სადაც მას ასწავლიდენ სხვადა-სხვა კულტურულ ვასარობებს.

გამოირკვა, რომ პ/კოლექტივი ვერ იღებდა აქტი-ურ მონაწილეობას კოლმურწუნობების ჩამოყალიბებაში გლეხობის დასახმარებლად, აქის მთავარ მიზეზად ის უნ-და ჩაითვალოს, რომ კოლექტივს არ აქვს სათანადო პო-ლიტმობალება, არ აქვს სამედრო წრე და არ იცნობს ახალი მეთოდით მუშაობას. ამ საკითხების შესახებ ბრიგადა ესაუბრა მას.

ბრიგადამ ჩაატარა საზეიმო სხდომა, 25 თებერ-ვლისადმი მიძღვნილი სხდომის დამთავრების შემდეგ მო-აწყო საღამო-წარმოდგენა ბრიგადის ძალებით, და აღგი-ლობრივმა პიონერებმა აქტიური დახმარება გაუწიეს მას. ბრიგადის მეორე ჯგუფი თვით საგარეჯოში დარჩა; აქაც ბრიგადამ დადგა ერთი რადიომიმღები.

საგარეჯოში პ/კოლექტივის მონაწილეობა თესვის კამპანიაში არ არის დამკმაყოფილებელი, — აქაც მიზეზი პიონერთა მოუშვებლობაა.

ბრიგადამ აქაც გამოუშვა კედლის ვახეთა „ბრიგა-დის ხმა“. ბრიგადამ შეაკეთა სკოლის დამტკურელი მერ-ხები, მუკიდები და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ბრიგადამ კარ-გი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც პიონერკოლექტივ-ზე, ისე გლეხობაზეც.

გველბიანი

პიონერხელმძღვანელთა გაღასაგზა- დავლი კურსები

სიღნაღში გაიხსნა პიონერთა ხელმძღვანელების გა-ღასაზადებელი კურსები, სადაც მეცადინეობს 29 კაცი. მეცადინეობა აქვთ დილით და საღამოობით; კურ-სებზე მინაგრებული არიან ხელმძღვანელობისათვის აქტი-ური ამხანაგები.

ნელაულს ვაპროვებთ

უტილენდელულის შგროვების საკითხი ცაგარის რაიონის (ქუთაისის ოლქი) საბავშვო სახლთან არსებულ ნ. პ. კოლექტივშიც დამუშავდა. კოლექტივის წევრები აქტიურად შეეცადნენ ამ დილ საქმეს, გამოკრავით პიო-ნერთა ბრიგადები და შეეცადნენ მუშაობას. ჯერჯერო-ბით შეგროვებულია 800 კოლფარამი (ჩვენს კოლექტივში 25 პიონერია) და საკითხის გატარებაში გამოვიწვიეთ თვ-გილობრივი ნ. პ. კოლექტივები.

ს. ლორთქიფანიძე

უკანალ „პიონერი“-ს ვაპროვებთ ლენრაიონში

ლენრაიონის ყველა კოლექტივს გამოყოფილი ჰყავს ბეჭდვითი რწმუნებულები, რომლებიც ატარებენ ხელის მოწერას პიონერებსა და დაურაზმავ ბავშვებში; აქამდე ეურნალ „პიონერი“-ს და „ოქტომბრილი“-ს ვაგრცელება ძალზე მოისურებდა, ამეამად კი, რადგან ლენრაიონი-რომ ჩაატარა ფართო კამპანია, რაიონში უკვე ვაგრცე-ლებულია 570 ცალი უფრნალი „პიონერი“ და „ოქ-ტომბრილი“. ჩვენი მიზანია ერთი თვის განმავლობაში 1500-მდე ავიყვანოთ ეს რიცხვი.

მაღე ლენრაიონიურო მოაწუბს ამ უფრნალების მკითხველთა კონფერენციას.

უკანალს ვაპროვებთ

ჩვენი კოლექტივი ავრცელებს უფრ. „პიონერი“-სამ-სამი თვით 20 ცალის რაოდენობით და ამავე მიზ-ნით ვიწვევთ საჩხერის რაიონში შემავალ ყველა ნ/პ. კო-ლექტივს.

გოგიატა საყვარელიძე

გამოვიწერე სამი ცალი უფრ. „პიონერი“ და ამ მიზნით ვიწვევ მარიად ორახელაშვილის სახელობის პ/კოლექტივს.

თ. ხირაძე

ბრიგადალი პიონერის წაილი

ჩვენ ტფლისიდან გავემგზავრეთ 16 თებერვალს და დიღომში მისვლამდე გზაში შეხვედრილ გლეხებთან ვა-უბრობდით.

დიღომში მისვლისას გამოეცხადით საბჭოს თავ-მჯდომარესთან, რომელმაც მივგამარა სტალინის სახე-ლობის არტელზე. დიღომში კიდევ დაგვხვდა სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმის 60 მოწაფე—ბრიგადირი.

დიღომის გლეხობა ჩვენს ბრიგადას აღფრთოვანე-ბით შეხვდა; ისინი უმარავ შეკითხვას გვაძლევდენ რო-გორც საგაზაფხულო თესვის კამპანიის, აგრეთვე კოლ-ექტივიზაციის შესახებ, რაზედაც ჩვენ მიერ გარკვეულ პასუხს ლებულობდენ.

არტელში მოგვცეს ერთი ოთახი, რომელიც მოვა-წყვეთ ბელადის სურათებით და დავედგით რადიომიმ-ღები.

ჩვენ მიერ მოწყობილ რადიომიმღებთან გლეხობამ მოიყარა თავი; ისინი ყოველდღე უსმენენ. გამოუყვებით კედლის ვახეთის სპეციალური ნომერი, ჩამოყალიბებთ ამხ. სტალინის სახელობის პიონერკოლექტივი (სტალინის სახელობის არტელთან) 110 პიონერის შემადგენლობით, აღვრცეებთ წერა-კითხვის უცოდინარნი და მივემარეთ ინდივიდუალურად მათთვის წერა-კითხვის სწავლებისათვის.

მანკიერი ჭანჭიბი

ხამი თვალებით.

დღისით თუ ღამით, ავღრიან თუ მზიან დღეებში, ხამი თვალებით ერთფეროვნად წარმოადგენს ორთქლმავლების ფარებს.

ბამბის ქულებივით სივრცეში ავარდნილი რუხი ნისლი და საკვამურებიდან ანახვეფი ეფუქუნა წვიმა...

ცა მუდამ პირქუში და დანისლული... რონებს შუა მახუთიანი ქოქები.

უწერს ფარობა და აცივლებული ორთქლმავლები... ავგარ...

ფარებიდან გასავლელად გამზადებული ორთქლმავალი დოღის იორღისავით დასაოთხად იწყურება...

ქმინავს და გუზგუზებს, მაგრამ ჯერ ადრეა, და მემანქანის მოქნილი ხელები სწრაფად აცლის მას ჩქარი მოძრაობისათვის საჭირო ენერჯიას... აცლის დატვირთვით ორთქლის მარავს, და ახოზობილი მძლავრი ორთქლმავალი ბორავებს და ბუხბუხებს ფარებს შიგნით ერთმანეთზე გადახართლურ რონებზე...

მემანქანე და მისი თანაშემწე დიდის მზრუნველობით დასტრიალებენ თავს გაჩაღებულ ორთქლმავალს: წმენდენ, ზეთს უსვამენ, ასუფთავებენ...

— გამოუშვით ორთქლმავალი! — დაიხორტინებს ტელეფონის მილი სადგურიდან, და აქშინებული ორთქლმავალი გუზგუზობით მიიკვლევს გზას.

მუშეშეშით სიანხავია გაჩაღებული ორთქლმავალი, მაგრამ ყველაზე უფრო თვალწამრატავია ის ღამით...

ხედავ, მოდის უზარმაზარი, თვალბედაბრიალებული მანქანა და პირიდან ცეცხლის ოხმივარს ისვრის... ბღავის და ქშინავს ყოველ დაბრკოლებას წესდებით გათვალისწინებულ ნიშნულ ადგილას...

მაგრამ... ყველა მათგანი როდია დაჯილდოებული ამკვარი ბედნიერებით.

ამიერკავკასიის რკინისგზებზე, რომლის სიგრძე დაახლოებით 2050 კილომეტრს უდრის, სულ შვიდასამდე ორთქლმავალია და მათ შორის ორასზე მეტი შრომის ინვალიდია: დამტყრელი, დამწვარი, და მანკიერი, ერთი სიტყვით, ისეთი, რომელთაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება, რემონტი, გამოცოცხლება...

და აი: ღონისის უბანში, ლიანდაგს იქით რომ თავშებოლილი მიწები მოჩანს, მკვარტლით შემთრული, რუხ სახურავებს-ქვეშ რომ დიდორნი ალაყაფის კარებია, შუშაბანდშემოვლებული, იქ არემონტებენ ავადმყოფ ორთქლმავლებს: აახლებენ დატყრელ ქვაბებს, სცვლიან საორატელ შილებს, გაცვეთილ ბორბლებს, ხრახნებს და პანტიკებს...

იქ იპედება დამსხვრეული ორთქლმავლები, იქ მიიჩქარიან ყოველ დღით საყვირზე გამოფხიზლებული კუნთებდაძარღვული მუშები... ყველა მათგანი შრომის ზუსტი განაწილებით დიდის მზრუნველობით დატრიალებს თავზე თავის მიჩნეულ სამუშაოს, მუშები დატრიალებენ და ელვის სისწრაფით ამოძრავებენ გავარჯერებულ სამქედლოში გრდემლზე მოქნულ ჩაქუჩებს...

იცვლება დატანული ნაწილები, იცვლება უვარგისი ბორბლები, ხრახნები, მიწები...

იღებება ორთქლმავალი და გაჯანსაღებული, კაპიტალური რემონტიდან გამოუსული უბრუნდება საორთქლმავლო ფარებს...

სამოკავშირე ორთქლმავალი ეკურნება ყოველწლიურად ტფილისის სარემონტო ქარხანაში, სამოცი დახვარებული და დამსხვრეული ორთქლმავალი გამოდის სასულაოდან მოძრაობაში...

მავსადამე, ორთქლმავალი ეკურნება დეპოებში დროებითი ხასიათის დაავადებიდან, მაგრამ ეს როდი ყოფნის ზვენი ქვეყნის მოძრაობას.

დეპოებია ბაქოში, ბალაჯარაში, განჯაში, ტფილისში, ლენინკანში, ხაშურში, ბორჯომში, შორაპანში, სმეტრედიაში; ქარხანა: ტფილისში და დამხმარე ქარხანა ბაქოში, მაგრამ ვერ აუღიან საჭირო რემონტების წლიურ მითხოვნლებას, და ხშირად ჩვენი ავადმყოფი ორთქლმავლები იგზავნება რუსეთში სამკურნალოდ.

იზრდება მოძრაობა... იზრდება ორთქლმავალთა სერთო რიცხვი...

იზრდება მუშახელი, და მოძრაობით გაბრუნებული ლენინის უბანი ამჟამად დაპყრებს თავზე რევოლუციონერი წარსულითა და აწმყოით ქედმაღალს, შრომის ქარცეცხლში დაეჯაკცებულ პროლეტარიატს, რომლის ძლიერებაზე აშკარად მტყუყვებს გაბრიალებული დაზნები, დინამოთა ხრიალი და დამწყრივებული, გასახურებლად გამზადებული ქუშინდელი ინვალიდი ორთქლმავლები...

დიდაა ქარხანა და ქარხნის პროდუქციის საერთო ღირებულება, მაგრამ კიდევ უფრო დიდია და უზარმაზარი ის ენტუზიაზმი, რომელსაც გულთ ატარებს თითოეული რკინისგზელი დეპოში, ქარხანაში, დაზგისთან თუ დაზგის გაერეში...

ინლესტრიალური ტექნიკუმიდან

გუგუნებს დეპო სამქროებით... დაზგებთან დარაზხულან მახუთში გამურული ისტატები...

ოწინარს გააქვს ლედეგზე რახრაბი, და დამხმარე ლედეგი ამოძრავებს სახარტო თუ სახეიწკლო დაზგებს...

გუგუნებს გავარჯერებული სამქედლო, და ცხელცხელი ხრახნები ეხორცება ორთქლმავლებს სხეულზე.

ტრიფინი გულდასმით ათვლიერებს ახლადამოხსმულ ორთქლმავლის ნაწილებს და სინჯავში ხელგვიანობს.



სახეიმნარევის ნორმ ბიუჯეტო წინა მკვლევარს სამბო



მონსეს ზარები

ბრიგადა კი დამკვერელ წესებზეა გადასული.

— შენ, ეი! რას ჩაიკრიტებ მაგ კანჭიკს და აღარ ეშვება?

ტრიფონი გამოერკვა მოულოდნელი შეძახილით და კანჭიკი ხელიდან ხელში გადინაცვლა... ისევ დააკვირდა, ოსტატს შეკითხვაზე არაფერი არ უპასუხა.

— არ გეკმის?—გაიმეორა ბრიგადის უფროსმა.

— მანკერია და...

— რით არის მანკიერი?..

ოსტატი ტრიფონს მიუახლოვდა, ჩაქუჩი ქაშარში გაირკო და კანჭიკს დააკვირდა...

— რით არის მანკიერი?

— აი, ნასერტები რომ აქვს...

— უჰ, შე ინდაური! რამდენჯერ მითქვამს, რომ ასეთ უმნიშვნელო ნასერტებს ყურადღებას ნუ მიაქცევ მეტი.

— ფიზიკის კანონის თანახმად...

— რაო? ფიზიკისო?—დასცინის ტრიფონს ახანაგებმა.

— ფიზიკის კანონის თანახმად ფულურო აღგიღები გახურების დროს...

— კარგი ერთი... მოჰყვები ხოლმე ფილოსოფოსობას... აქაო და ინდუსტრიალური ტექნიკუმიდან ვარო და თავი მართლა ინჟინერად წარმოუდგენია...

— ფიზიკოსი!

— პროფესორი!

— კარგია, გეყოფათ... მოიტა კანჭიკი და შენ საქმეს მიხედ... თქვენ რაღას უღვებართ? აბა, დაზგებთან ჩქარა!...

გადავიდა ბრიგადის უფროსის განკარგულება ჯგუფიდან ჯგუფში, და ახმაურდა ისევ რამდენიმე წუთით შეჩერებული დაზგები.

— შე წინააღმდეგი ვარ ორთქლმავალზე მაგ კანჭიკის მიმავრების და თქვენ როგორც გინდათ... მოსალოდნელია, რომ კანჭიკი გატყდეს პირველსავე გახურებაზე.

— აბა ოსტატი შენ ყოფილხარ, ჩემო ტრიფონ, მოდი და შენ იმუშავე ჩემს ადგილას, მე კილევ შენი მოწაფე ვიქნები...

— მე უფროსობაში არავის ვეცილები, მაგრამ ფიზიკის კანონის თანახმად ნასერტეიანი ფოლადი გამძლე არ არის...

— კარგი, კარგი, ერთი, ტვინი ნუ გალაყაყ შენი ფიზიკითა და მათემატიკით! ოცი წელიწადია ოსტატი ვარ და ეგ შენი ფიზიკა თუ არ მისწავლია, იმიტომ ორთქლმავლები ვერ დამირეძმონტებია, აა!

ტრიფონი დაღუბდა. დანაღლეიანდა... ხედავს, რომ მას სასაცილოდ იგდებენ ფიზიკისა და სხვა მეცნიერული ტერმინის ხსენებაზე.

ტრიფონმა ინდუსტრიალური ტექნიკუმი დაამთავრა, დაამთავრა წარმატებით...

მათემატიკური საგნები და განსაკუთრებით ფიზიკა და ქიმიკა კარვად ჰქონდა მას შეთვისებული. ამიტომ ხშირად წამოიშველებდა ხოლმე საუბარში ფიზიკისა და მათემატიკის ამა თუ იმ ფორმულას, მაგრამ...

გადმოსკდებოდა დაცივნის ნიაღვარი, და ხმაჩაქმედილი ტრიფონი იღვა დაზგასთან თავჩაღუსული.

— რამ გავაშტრა? აღარ უნდა იმუშაო?—ისევ შეუტია ტრიფონს გაბრაზებულმა ოსტატმა და დაზგაში გამართულ ხრახნზე ქლიბი მოიმარჯვა...

— მოხსენი, ოსტატო, ჩვენი ბრიგადიდან...

— მერე, სად გავგზავნიო... თუ ჩვენთან არ ვარგა, სხვაგან როგორ გამოდგება?..

— ინსტიტუტში გავგზავნით ფიზიკის ლექტორად...

ტრიფონი აიღეწა...

— კარგია, გეყოფათ ლაკუმბო... საქმეს მიხედეთ... ხვალ ორთქლმავალი უნდა გამოვეშვათ.

— ტრიფონი მოდი აქ ორთქლმავალში შეძვერი და დღეს ის იმუშავე...

— იმუშაოს რა...


— ერთხელ ეგეც გაითუთხნოს პაცანასავით...

— შე გათუთხენისა და გამურვის რიდი არასოდეს არ მქონია, თქვენ ფიჭრი ნუ გაქვთ...

ტრიფონი შეძგრა ორთქლმავალში, და რამდენიმე წამის შემდეგ გაისმა ორთქლმავლის გულიდან ყრუ ბაგაბუვი და ჩაქუჩის გრილი...

ბრიგადა ჩქარობდა ორთქლმავლის შეკეთებას...


ორთქლმავალს კი ელოდებოდა საორთქლმავლო ფარები.



კომპაზიტორი მანქანასთან

საცდელი მგზავრობის დროს

ორთქლმავალი მზად იყო დანიშნულ ვადაზე...
 ცნობა გაუზავნეს დეპოს უფროსს, და დღეს ორ საათზე უნდა გაისინჯოს გზაში ორთქლმავალი.
 ბრიგადა ელოდება საცდელ გამგზავრებას... გამზადებული ორთქლმავალი კი დგას მთავარ ხაზზე და ნიშანსვეტის გახსნას ელოდება...
 მოვიდა დეპოს უფროსი ინჟინერიც. ბრიგადა მზად არის...
 ტრიფონი თავს დასტრიალებს ორთქლმავალს და მანკიერი ჭანჭიკის ადგილმდებარეობას ათვალერებს...
 ტრიფონმა იცის, სად არის დამაგრებული მანკიერი ჭანჭიკი...
 მას ძალიან აინტერესებს ჭანჭიკის გამძლეობის საკითხი...
 აინტერესებს, რადგან ამით ფიზიკის კანონებსაც შეამოწმებს.
 ნიშანსვეტი გახსნეს...
 ორთქლმავალმა დაიგუფუნა...
 ყველანი ვარს შემოებვიენ გამოცოცხლებულ ორთქლმავალს და გარშემოსავლელზე ადგილები დაიკავეს...
 — მივდივართ, — განაცხადა ბრიგადის უფროსმა, და შემანქანებ საჭე გადასწია...
 აქშინდა ორთქლმავალი... აგუფუნდა და დაიძრა ადგილიდან...
 — შ, შ, შ, შ — გაისმა ჰაერში, და ტყვიისფერი ნისლი გავვა რკინის ლიანდაგზე...
 — ლუგ ლუგ — ლუგ — ლუგ! — დუგდუგებს გაქანებული ორთქლმავალი და ებრძვის ნავთლულისკენ მდებარე აღმართს...
 ორთქლმავალი გასცდა არსენალს...
 მიჭრის ორთქლმავალი 60 კილომეტრის სისწრაფით საათში, და ყველა კმაყოფილია მორიგი წარმატებით...
 ოსტატს თავი მაღლა უჭირავს და დეპოს უფროსს ამაყად შეჭყურებს თვალებში, თანაც გზის სისწორეზე მიუთითებს.
 — რომ სწორი გზა იყოს, 80 კილომეტრსაც მოეუსავამი...
 მიჭრის ორთქლმავალი...
 წყლის შხეფები მოაქვს პირქაის მგზავრებისაკენ, და გარშემოსავლელზე მდგარი მუშები თითქმის გაიწუწუნეს...
 — შ-შ-შ-შ! — აქშინდა ორთქლმავალი...
 ავარდა ნისლი ბორბალს ზევიდან, და იქლო სისწრაფეში...
 მონომეტრი ბოლომდე დაესული, ორთქლმავლის სისწრაფე კი კლებულობს...
 — რა ამბავია?
 — რა მოხდა?
 — ორთქლი გამოდის ბორბალს ზევიდან და კლებულობს სისწრაფე...
 — გააჩერეთ ორთქლმავალი...
 ორთქლმავალი დადგა.
 — გასინჯეთ ნაწილები...
 — საორთქლო მილებს დააკვირდით...
 ტრიფონი ვადმოხტა ორთქლმავალიდან მანკიერი ჭანჭიკისაკენ გაექანა...
 ყველანი ვაფაციკლებით დაქებენ ორთქლმავლის შეჩერების მიზეზს.
 დაქებენ, მაგრამ ვერ ნახულობენ...



ქალი ქარხანაში

ტრიფონი მიუახლოვდა ორთქლმავლის ნაცნობ ნაწილს, შეხედა ჭანჭიკს და...
 — აი, ახლაც აღარ დაიჯერებთ?! — წამოძახა მან თავბრულდაგვეულმა.
 — რა მოხდა? — იკითხა დეპოს უფროსმა.
 — რა მოხდა? — განერვიულდნ ბუშები.
 — მანკიერი ჭანჭიკი გამოვარდნილა.
 — მანკიერი ჭანჭიკი? — მოიღრუბლა ოსტატი.
 დეპოს უფროსი განცვიფრდა, გაუკვირდა ოსტატის უეცარი მოწყენილობა.
 — რომ მოვაწყინა, ვანო? ჭანჭიკზე ადვილი გამოსაცვლელი რაღა არის?...
 — საჭმე გამოცვლაში როდია, საჭმე ისაა, რომ...
 ვანომ ყველაფერი უამბო დეპოს უფროსს.
 — ფიზიკაც... ფიზიკაც საჭირო ყოფილა, ამხანაგებო! ძალიან საჭირო... მე ოცი წლის ოსტატი ვარ და დახვ, გუშინდელი ბავში წინგნებში გახუჩარებული ფორმულებით მიხვდა, რომ ჭანჭიკი მანკიერი იყო და გახურების დროს ვერ დამაგრდებოდა... აი ცოდნისა და მომზადების საუკეთესო შედეგი... ჩვენ კი სასაცილოდ ვივადლებდით მას, რადგან ჩვენ თვითონ ცოტა გავგებება ფიზიკის.
 ყველანი დარცხვნილი შეყურებდნ ტრიფონს და თითქოს პატრების თვალებით შესთხოვდნ მას, მაგრამ ტრიფონი თავისი ფიზიკისა და მათემატიკის ფორმულებით ისე იყო ვატიკებული, რომ ვერც კი ამჩნევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო.
 — ყოჩაღ, ტრიფონ, ყოჩაღ! — მოუწონა ტრიფონს დეპოს უფროსმა და იქვე გასცა ვანკარგულეება ტრიფონისთვის ერთი თანრიგით ჯამავირი მოემატეხინათ.
 პ. ჩხიკავაძე

როგორ მოვაწყოთ ხუთწლიანი პერიოდი.

საქართველოს
ხალხური

ხუთწლიანი იდგის შესწავლისა და პროპაგანდის ამოცანა, აგრეთვე მთელი ბავშვობის ყურადღების დარაზება და **ბავშვობის** განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად, მოითხოვს ამ მუშაობის ახალი და წარმატებული ფორმების შექმნას; ამ მუშაობის ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს ხუთწლიანი პერიოდის პიონერკოლექტივებსა და სკოლებში.

რა უნდა ასახოს ხუთწლიანი პერიოდის კუთხეში? ამ კუთხეში უნდა მისცეს პასუხი ყოველ პიონერს, ყოველ მოსწავლეს, მუშას და გლეხს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლება სამბოთა საქართველოს სახე ხუთი წლის შემდეგ, როგორ უთანასწოროდებიან კულტურულად ჩამორჩენილი ხალხები სოციალიზმის მშენებლობის ტრეპის სამბოთა კავშირში, როგორ შეიცვლება ფაბრიკა, ქარხანა, რომლებთანაც არსებობს კულტურები, რას გააკეთებენ პიონერები და ბავშვები, რომ უფრო მაღელ განხორციელდეს ხუთწლიანი, როგორ შეიცვლება სასოფლო მეურნეობა ხუთი წლის შემდეგ.

გარდა ამისა, ამ კუთხეში უნდა ასახოს კოლექტივის, სკოლის და მთელი ბავშვობის ყოველდღიური მუშაობა ხუთწლიანი შესრულების დარგში. ამისათვის უნდა დაევიწყოთ როგორც ის და გვეყვება მოსკოლში, რომ მათ გამოაზარდონ ანშლაგები, ლოზუნგები, პლაკატები, დიარაგები, სენები და მაცენტები ზაჰისის, ფაბრიკა-სკოლის, რომლებიც გამოხატავენ მათ ახალადღე ვითარებას, მათ გვერდით კი უნდა მოათავსონ მაცენტები, რომლებიც განიხილავენ, თუ როგორ იქნება ეს დაწესებულებები ხუთი წლის შემდეგ. შეიძლება მათ დაეველოს სინათლის ლოზუნგების დამზადება და სხვა.

როდესაც დაგვალბებენ შესრულებული იქნება, როგორ უნდა შეუდგეს კუთხის მოწყობას; აქ მხატვრულად, სანტიერესოდ მოათავსებენ მთელ ზემოაღნიშნულ მასალას. რასაკვირველია, ამ კუთხის შუაგულში უნდა დიდი როლი ითვინოს სურათი აღმშენებლობის ფორზე, წარწერები უნდა შეიცავდეს მის აფორიზმებს ელექტროფიკაციის და ქვეყნის კულტურულ-მეურნეობითი აღმშენებლობის სხვა დარგების შესახებ.

იმისათვის, რომ კუთხე მიმზიდველი იყოს, რაც შეიძლება მეტად უნდა იქნეს გამოყენებული ფოტოგრაფიული სურათები და ნახატები ხუთწლიანი შესახებ.

შეიძლება დაიკლებულ თაროებზე ანდა მაგიდებზე უნდა მოწყონ საერთო ამიერკავკასიის და ევროპის კაქართველოს ხუთწლიანი საკითხების შემცველი პატარა პოპულარული ბიბლიოთეკა.

აქედ-იქით, ორივე მხარეს შეიძლება დაიკლოს რუკა „ამიერკავკასიის და ევროპის კაქართველოს სახალხო მეურნეობის მშენებლობა“ (ხუთწლიანი მასალების მიხედვით).

განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს იმის ასახვას, თუ რას გააკეთებენ პიონერები ხუთწლიანი შესასრულებლად. აქ შეიძლება გაკეთდეს პლაკატი „დავაჩქაროთ ხუთწლიანი განხორციელება პიონერთა და მთელი ბავშვების მილიონიანი ძალების დახმარებით“; ეს პლაკატი უნდა გაკეთდეს სრულიად საკავშირო შეკრების განუწყობისა და სოცშეგებების შესახებ ნ-რჩ პიონერთა ამიერკავკასიის ბიუროს მიერ „ზაქლოკომთან.“ „ზაქსელსაიუთან“ და რადიოცენტრთან დადებულ ბელშეკრულების მასალების მიხედვით. ციფრების შემცველი მთელი მასალა გამოხატული უნდა იყოს რაიმე სურათით, მაგალითად: პიონერი დგას სანიშნო საჭათმესთან, გვერდით არის ქათმების ეზო; სურათს ქვეშ აქვს წარწერა: „გავაკეთოთ წიწილეპნისთვის ხუთიათისი პატარა სახლი და მოვაწყვათ ბავშვთა ხუთიათისი ამხანაგო-

ბა, რომლებს მიზანი იქნება ფრინველების მოშენება. თითოეულ ამხანაგობას უნდა ჰყავდეს 25 მთელი. ეს მისცემს სახელმწიფოს 50 მილიონ მანეთს“ და სხვ.

აქვე უნდა იყოს გამოხატული კოლექტივისა და სკოლის მუშაობა ხუთწლიანი შესრულების დარგში, მაგალითად, შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი გაკეთებული რადიომიმდების, რომლის ქვეშ იქნება წარწერა: გავაკეთოთ და გავუზავებთ კოლმურნეობებს, ქობ-სამკითხველობებს და სკოლის კოლექტივებს ამდენი (რიცხვი) ასეთი მიმდები“; გვერდით კი იქნება პლაკატი „ამდენი (რიცხვი) გვეყვება შექმნით, რომლებიც ეხმარებიან სწავლაში ჩამორჩენილებს, ჩვენ მოსვამთ ორწლიანობა“; უნდა გამოიხატოს, რამდენი მოსწავლე იყო მეორე წელს და იგივე გვეყვება და ჩაჩენილი და რა უჯდებოდა ეს სახელმწიფოს.

სოცშეგებების შესახებ დადებული ბელშეკრულება შეიძლება დაიკლოს თვით პიონერების მიერ გაკეთებულ ჩაჩოში, მის გვერდით კი იქნება იმის მაჩვენებელი, თუ როგორ სრულდება ბელშეკრულება, რამდენად ჩამორჩა ამ მხრივ როგორი მოწყაეთა გვეყვება და სხვა.


ცხადია, კუთხე მუდამ უნდა იცვლებოდეს, მაშინ იქნება ის სანტიერესო და დაგვიხმარება ხუთწლიანი ასი მზოლად პროპაგანდაში, არამედ ბავშვების დარაზებაშიც, სოცშეგებების წესით, მის შესასრულებლად.

უკვე მოწყობილმა კუთხეებმა უშეძველდა ახლავ უნდა ასახონ ბავშვის მიერ საგანაზღვრო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მონაწილეობის მიღების ყველა ფაქტი:

აუცილებლად საჭიროა მოეწყოს კუთხეში უფროსი რეკლამის პიონერთა მორიგობა, რომლებსაც შეეძლება პასუხი დაესცენ სანახავად მოსულებს მათთვის სანტიერესო კითხვებზე. შეიძლება საცნობარო მუშაობის წარმოება მოეწყოს საკითხზე, —ამისათვის უნდა გავიჩინოთ კითხვა-პასუხების რეჟიმი. უშეგამესია სხვადასხვა პასუხის გაცემა წერილობითი, განსაკუთრებულ დაფაზე.

აი, დაახლოვებით როგორ უნდა მოეწყოს კუთხე. რასაკვირველია, მეტი სხვა სანტიერესო საქმედ არის და სწორედ აქ უნდა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და მოსზრებულობა კუთხის მომწყობებმა, კოლექტივის წინამძღოლმა, ფოსპოსტის თავმჯდომარემ ან მოწყობმა სკოლაში.

მ. კოლიუხი.



ვარჯიშობა

შვიისწავლოთ პროლეტარული გზარეობა

საქართველო
საბჭოთაო

იროდიონ ევლოშვილი დიბადა 1873 წელს ქიზიყში, სოფელ ბოზბისხევში. პატარა იროდიონი მშობლებმა სკოლაში მიიბარეს; სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ის ვადაიფენის თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამის შემდეგ მან დაიწყო სწავლა ტფილისის სასულიერო სემინარიაში; ეს სასწავლებელი იმ დროს რევოლუციონერთა ბუდეს წარმოადგენდა. ი. ევლოშვილი მოჰყვა რევოლუციონერი იდეების ზეგავლენის ქვეშ და ამიტომ სასწავლებლიდან დაითხოვეს. ამის შემდეგ მან მრავალი გაქირვება გაითარა: მსახურობდა სხვადასხვა რედაქციაში, საფილოქსერო დასში, მაჩხანის დეპოში და სხვაგან...

ის კარგად იცნობდა მშრომელ ხალხს, ამიტომ თავის ლექსებში შეეცადა დაეხატა მისი უნუგუმო ყოფნა; ი. ევლოშვილმა თავისი მწერლობის მთავარ საგნად მაშინდელი მწარე სინამდვილე გაიხიდა და მრისხანე ბრძოლის ცეცხლის დანთება დაისახა მიზნად:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მეგრად სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოვლის ნაკადული“.

ეს ნამდვილი შრომისა და ბრძოლის პოეზიაა. პოეტს აღარ ეშინია სისხლისღვრის, რადგან მან იცის, რომ უამისოდ შეუძლებელია მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლება. „მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემი მშობლისა“, — ამბობდა სრულიად სამართლიანად ირ. ევლოშვილი. ის იბრძოდა საერთო საქმისთვის.

ი. ევლოშვილმა სრულიად სამართლიანად მიიქცია ყურადღება მუშათა საკითხს; იგი ეუბნება მუშას: „რას შესტკერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას... შენ გააკეთე, შენ შეტქმენი, ძმაო, ეგ ფარჩა, მაგრა რა-დაცა მანქანებით შენ კი არ დაგრაჩა“. ამ სიტყვებით ი. ევლოშვილმა სრული სისწორით გადმოგვცა ექსპლოატაციამწინი მუშის ყოფა-ცხოვრება; პოეტი ჩწუხს იმაზე, რომ ყოველთვის დაჩაგრულია, მისი მოსვენება ძილშიაც კი აღარ მოხერხდა, ამავე დროს ევლოშვილი გვიჩვენებს, რომ ყოველივე ამაში დამნაშავეა მაშინდელი სოციალური წყობილება.

ი. ევლოშვილის ნაწარმოების გმირები უმთავრესად პროლეტარები არიან: მკვლელი, ათათამ-ყობი. სახლების მხურავი და სხვა, — აი ვის უძღვრდა პოეტი ევლოშვილი. ამ ხალხის კოჩრიანი ხელებით მოხდა რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად გაანადგურა ყოველგვარი სოციალური უთანასწორობა.

ი. ევლოშვილი ეხებოდა აგრეთვე გლეხობის საკითხებსაც; ის უძღვრდა გლეხობას არა მთლიანად, არამედ მის უღარიბეს ნაწილს; მაშინ გლეხობაში უკვე დაწყებული იყო სოციალური დანაწილება. სოფელი პროლეტარი, მოჯამაგირე და მისი აუტანელი ყოფა, — აი რას ხატავდა პოეტი.

„ცას ქვეშე მიწის ზურგზედა
არა მაქვს არაფერია,
უხამართლოა დღერთიცა,
თუ ახე დაუწერია!“

ასე ამბობს მის ერთ-ერთ ლექსში მოჯამაგირე.

1905 წლის რევოლუციის პოეტი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა; მან ამბობებული ხალხი „ამირანად“ წარმოიღვინა. რევოლუციის დამარცხებამ გამოიწვია მასში სევდა.

ასეთსავე მრტირებზე მუშაობდა მეორე მწერალი —

5. ჩხიკვაძე. მისი მხატვრული სიძლიერე და პოეტური სიღრმე ჯერაც არ არის ს-თანადოდ შეფასებული.

5. ჩხიკვაძე დაიბადა 1883 წელს, სოფელ დიდ-ჯიხაშიში; სოციალური წარმოშობით ის იყო ლარიბი გლეხის შვილი. მან ბავშობიდანვე განიცადა მშრომელი ხალხის მდგომარეობის სიღუპეზე, ამიტომ როდესაც მოახლოვდა 1905 წლის რევოლუცია, ჩხიკვაძე თავიდანვე ჩება მასში და მონაწილეობა მიიღო.

ერთხელ იგი დააპატიმრეს ყაზახებმა და სასტიკად სცემეს, ამის შემდეგ გაგზავნეს ქუთაისის საპრობილუში.

1912 წლის იგი გაემგზავრა მოსკოვში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, მაგრამ უსახსრობამ ხელი შეუშალა ამ მიზნის განხორციელებაში.


მისი საუკეთესო ლექსი „მკვლელო“ დარჩება რევოლუციონერი მწერლობის ისტორიაში, როგორც საუკეთესო ნიმუში კლასობრივი ბრძოლის გამომხატულებისა. მთელ რიგ ლექსებში ის ეხებოდა ლატაკი ხალხის მდგომარეობას, რომელიც კაპიტალიზმმა ქუჩაში გამოჰყარა; მას ხიბლავდა რევოლუციონერი ამბოხება:

„ვინ იგემოს სიცოცხლე მუღმიე მოსვენებით,
ბრძოლა ყოფნის ქარია, რღვევის ქარიშხალია,
არსებობის მიზეზი მხოლოდ შრომის ძალია“.

მის პოეზიაში ბოლო ხანებში იჩინა თავი არაპროლეტარულმა იდეებმა.

5. ჩხიკვაძე გარდაიცვალა 1920 წელს, მიზელის საავადყოფოში, სადაც გაციის ხალაით ატარებდა თავის უქანასტულ დღეებს.

გიორგი ნატროშვილი



მუშა გამომგონებელი

ნორჩ უღმერთოთა პოეზიკანცია

საქართველოს
საბჭოთაო

მიმდინარე წლის პირველ მარტს, საღამოს 5 საათზე, ტფილისში გაიხსნა ნორჩ უღმერთოთა პირველი კონფერენცია, სადაც მომხმენილ იქნა ახმ. სოსიანის მოხსენება— „ანტირელიგიური მუშაობა ბავშვთა შორის“.

კამათი მოხსენების შესახებ გადატანილ იქნა მეორე დღის სტომაზე; კამათში მონაწილეობა მიიღო 24 პიონერმა, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია და მოწოდება ყველა ბავშვისადმი და არჩეულ იქნა ტფილისის უღმერთოთა კავშირთან ნორჩ უღმერთოთა სექცია.

ყველა პიონერს და მოწაფეს, ყველა მშრომელს და ბავშვებს.

ჩვენ, მშრომელთა შვილები, ტფილისის 12000 ნორჩ უღმერთოთა წარმომადგენლები (ასაკით 8-14წ.), მოგმართავთ თქვენ, რომ გითხრათ, თუ რატომ ვებრძობთ რელიგიას, რატომ ვქმნით ნორჩ უღმერთოთა ჯგუფებს.

ჩვენ გაერთიანდით ნებაყოფლობითს ორგანიზაციაში, რომ აქტიურად ვიბრძოლოთ რელიგიის წინააღმდეგ, რადგანაც უკვე გავიგეთ და შევიცნეთ, რომ კაპიტალიზმის ისტორიის მანძილზე რელიგია მუდამ იყო მშრომელთა ჩაგვრის იარაღი. სახარებისა და სხვა „წინდა წიგნების“ ტექსტებში რელიგია იწონება და ქადაგება დასაუყურა მოზიბას, სიღატაკეს, ექსპლოატაციას და სხვა. რელიგიის დახმარებით ექსპლოატატორები ცდილობენ გაერთიანონ და შეარჩიონ ჯგუფთა თავის მსხვერპლთან, ბატონი მოზისთან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში რელიგიური ორგანიზაციები ბურჟუაზიული სახელმწიფოს თავდაღებულ მსახურს წარმოადგენენ პროლეტარიატთან ბრძოლის საქმეში. კაპიტალისტებთან ერთად ისინი ახზადებენ ახლა ახალ იმპერიალისტურ სასაკლავო პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირში რელიგიის „დაცვის“ მიზნით.

საბჭოთა კავშირში გამარჯვებულ სოციალისტურ შეტევებს და მშენებლობას გააფრთხილეს წინააღმდეგობას უწყვეტ კლასობრივ კლასობრივ მტერი უპირველეს ყოვლისა რელიგიის ინდიამით. კულაკებთან და ნეპმანებთან ხელ-ხელ ჩაკიდებული სამღვდლოება და ყოველგვარი სახის სექტანტები კონტრევოლუციონურ როლს ატარებენ. ისინი წარმოადგენენ საბჭოთა მეცნიერების, სოციალისტური გეგმის, განუწყვეტელი კვირის და საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი წამოწყების შეუძლებელ გახლებულ მტერს.

მეგრამ ექსპლოატატორების მიერ მოტყუებული მშრომელი მისა დღით-დღე თავისუფლდება რელიგიის ბანგისაგან, რომელიც სწამლავს და შხამავს მის შეგნებას. მიეღი ქვეყნის მოწინავე მუშები

ერთიანდებიან უღმერთოთა მებრძოლ კავშირში სამღვდლოების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

ჩვენ, მშრომელთა ბავშვები, ვერაიანდებით ნორჩ უღმერთოთა ჯგუფში, რომ დავეხმაროთ ჩვენს უფროს ახმანებს რელიგიასთან ბრძოლის საქმეში. ჩვენც ვიბრძვით და უნდა ვიბრძოლოთ ურელიგიო საზოგადოებისთვის, რომელშიაც მეგობრს შრომა, რომელშიაც არ არიან კლასები, რომელშიაც ხალხი მძურად გაერთიანებულია საერთო შრომისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

ჩვენ ვიცით, რომ რელიგია სიღატაკის და ყოველგვარი დამონაგების ნიადაგზე განმტკიცდა. ჩვენ უნდა შეველოთ საზოგადოებრივ და ბუნების მოვლენათა რენინური ახსნა. ჩვენ მტკიცედ და დამჯერებით ავუსხნით, განვუმარტავთ ბავშვებს რელიგიის მანებლობას. ჩვენ ვისახავთ დიდ ამოკანას — მოვაშრომთ, მოვეწეით ბავშვები რელიგიურ ორგანიზაციათა გაგონებას, გავთავისუფლოთ მათი განგება ტყინის მომწამველი რელიგიური აბაღუფებისგან.

ჩვენი მუშაობა არის სოციალიზმის მშენებლობის მუშაობის ნაწილი. ჩვენ მოვეუწოდებთ ჩვენს მომხრეებს, ჩვენ მოკითხოვთ ყველა საზოგადოებრივ პოლიტიკური ორგანიზაციისგან დავეხმარონ ამ მუშაობაში.

სამღვდლოება და სექტანტები ყოველგვარ ძალას ხმარობენ, რომ მიიზიდონ ბავშვები. ისინი ცდილობენ მოსწამონ, მოზიბონ ჩვენი მომავალი. ჩვენი მტკიცე და მედგარი მუშაობით უნდა მოვსაოთ რელიგიის ეს მანვე და ისაკიცელია გავლენა.

სკოლის მუშაკთა და დედებო-აღმზრდელნი ჩვენ მოვიწოდებთ დავეხმაროთ ამ მუშაობაში. თქვენ გეკუთვნისთ საპატრონო როლი— მოზაღოთ მომავალი ახალი ცხოვრების შენებისათვის. საბჭოთა პედაგოგი უნდა აწარმოებდეს სკოლაში ნამდვილ ანტირელიგიურ მუშაობას, ის ანტირელიგიურ აღზრდას უნდა ისახავდეს მუშინად და არა უფერულ ურელიგიო აღზრდას. მორწმუნე პედაგოგებს არა აქვთ ადგილი საბჭოთა სკოლაში, არცერთმა მშრომელმა დედამ არ უნდა მისცეს ბავშვი საეკლესიო სიბნელით მოცულ ორგანიზაციაში.

ჩვენ მოვითხოვთ განმტკიცდეს ნამდვილი ანტირელიგიური აღზრდა სკოლაში, მოლიანად შესრულდეს სახელმწიფოს დადგენილება, რომ ავტომატის მშობლებს და მეუფრებებს ბავშვების გაგზავნა საშლოცველო სახლებში და საეკლესიო-რელიგიური წესებს-ს შესრულდება. ჩვენ მოვითხოვთ მისიური ანტირელიგიური საბავშო ლიტერატურის გამოცემას და თეატრებში სათანადო რეპერტუარს.

ჩვენ ნორჩ უღმერთოთა რიგებისკენ მოვეუწოდებთ და ვეძახით პიონერებს, მუშათა ბავშვებს და ყველა მშრომელის ბავშვებს.

ტფილისის ნორჩ უღმერთოთა პირველი კონფერენცია.

მოსკოვის პიონერები

საქართველოს პიონერების

საქართველოს

საქართველოს პიონერორგანიზაციაში მუშაობის შემდეგ მინტერესდება რუსეთის პიონერორგანიზაციასაც გაეცნობოდი. მართლაც, მოხდა ისე, რომ პრაქტიკული მუშაობისათვის გამაწესეს მოსკოვში და მუშათა სასახლის კომკავშირის ორგანიზაციაში დამნიშნა საქავშირის ცენტრალურ პროესპექტთან არსებულ პიონერბაზის ხელმძღვანელად. პირველად არავის არ გაეუფხილვ ჩემი მოვალეობა, როდესაც მივედი პიონერთა კლუბში და გარემუ პირსავით ვესმენდი მათ.

— ვოვატი, ატრიად, ზევნი, კრასნი ლიოტრიკი— მესმოდა აქეთ-იქიდან. ჩემთვის ყველაფერი ეს უცხო იყო, რუსული კარგად არ ვიცოდი. ერთი კვირის განმავლობაში საკმაოდ გავეცანი პიონერების საერთო მუშაობას, ვხედავდი, რომ დღეს პიონერბაზის საერთო შერკებება, ხვალ ცალკე იკრიბება „ატრიადები“, ზეგ „ზევნები“ და სხვა.

გავიგე, რომ „ატრიადი“ ნიშნავს იმას, რასაც ჩვენი რაზმი, „ვოვატი“—ხელმძღვანელი, „ზევნო“—რგოლი და „კრასნი ლიოტრიკი“—წითელი მფრინავი—სახელმძღვანელობა რგოლის. სანამდე დაიწყება რაზმის ან რგოლის მეცადინეობა, პიონერთა საუბრაში გაიკონტენ:

— Даю честное пионерское слово.

პიონერი თავისი სიტყვის სწამადლის დასამტკიცებლად იძლევა წმინდა პიონერულ ფიცს. ეს იმას ამბობს, რომ რაზმის ყოველი წევრი გრძნობს პიონერულ მოვალეობას და პიონერთა ორგანიზაციის ყველა ინტერესზე. მიღლა აყენებს.

ორი კვირის შემდეგ პიონერთა ბაზის საერთო შერკებაზე კომკავშირის უჯრედის წარმომადგენელმა სახეიმიად გაღმომცა ბაზა. პიონერებმა, როგორც კი გაიგეს, რომ საქართველოს პიონერებში ემუშაობდი, მოხოცეს მესასუბრა საქართველოს პიონერებზე და მათ მუშაობაზე. პირველად ყოფილმა გავაცანი მათ ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურა და საერთოდ საქართველოს პიონერების მუშაობა და ცხოვრება. ბაზის შერკებზე ვუძღვევნი პიონერებს ზესტაფონის რკინის გზის სკოლის პიონერკოლექტივის ფოტოსურათი, სადაც მე ემუშაობდი. პიონერებმა დაადგინეს აელოთ შეგობა ამ კოლექტივზე და გაებათ კავშირი მუშაობის უთარიორგანიზაციების საფუძველზე. მუშათა სასახლის პიონერორგანიზაციამ გაუჯანჯანა წერილი ზორაპნის მახრის პიონერებს, პასუხიც მიიღო და მომავალშიც განზრახულია დაახლოვების მიზნით პიონერთა წარმომადგენლების გავანა.

ახლა ვილაპარაკოთ რაზმის მუშაობის შინაარსზე; აქიდანვე უნდა ვთქვათ, რომ მოსკოვის პიონერები პოლიტიკურად საკმაოდ მომხდამდებელი არიან; ყოველ პიონერს აქვს წარმოდგენა ჩინების ამბებზე, მეურნეობის ხუთწლიან გეგმაზე, განუწყვეტელ კვირაზე, მემარჯკენე გადახრაზე და საერთოდ მიმდინარე საქითებში სათანადოდ ერკვევა. მართალია, პიონერები აქ უფრო კარგია პოლიტიკური ცოდნის მისაღებად, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, თითქოს საქართველოში არ იყოს ამ საქმის შერკულების საშუალება. საქართველოს პიონერებმა უნდა უჭამიონ თავის მოსკოველ ახმანავებს და მოპკიდონ ხელი თვითგანვითარების საშუალებით პოლიტიკური ცოდნის მიღების საქმეს. პიონერთა ორგანიზაციაში აქ დღეღუბო-

ბენ მოზარდს მას შემდეგ, როდესაც ის დაიმსახურებს ამას და დასდებს სახეიმი ალექსანდრის საერთო სხდომაზე, რომ იგი შესარულებს ორგანიზაციის ყველა დავალებას და მტკიცე ლენინელი იქნება მუშათა კლასის ინტერესთა დასაცავად.

თვით კოლექტივის მუშაობა უფრო ცოცხალია, და დაკვირვით ხასითითა ყოველდღიური მუშაობა. პარტიის და კომკავშირის ხაზის გატარებაში პიონერორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეობას იღებს. მიმდინარე კამპანიებში პიონერები თავისი პატარა ხელებით იღებენ მონაწილეობას. ჩვენმა ბაზამ ჩაატარა ლოთობის საწინააღმდეგო კამპანია. ბაზის სახელით რაისაბჭოს გიგუგავაზე შეკრებილი იმართავა, რომ ჩვენს ახლოს, დაეიქტათ თულებანა და მის მაგიერ გაეხსნათ წყნის მალაზია. ჩვენი თხოვნა დაეკმაყოფილეს. ჩავატარეთ ქაღალდის ნაქრების, ტომბრის შერკოვება და სხვა. ყველაფერი ეს ამბობს, რომ პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. თითოეულ რგოლში ხდება ყოველკვირეული მიმოხილვა პოლიტიკური ცნობებისა, როგორცაა საერთაშორისო მდგომარეობა, თესვის კამპანია და სხვა.

პიონერები რგოლის კუთხეებში აკრავენ ყოველდღიურად ვახეთებიდან ამოკრულ საინტერესო წერილებს, რომელსაც ყველანი სწავლობენ. ჩვენს კლუბში საერთო თეორიულ მუშაობას გარდა დიდი ადგილი უკავია პრაქტიკულ საქმიანობას. ბიბლიოთეკაში მრავალნაირი რვეულია, სადაც პიონერი სწერს, თურა წიგნი უკითხვა და იწვევს სხვა პიონერს, რომ წაიკითხოს საინტერესო წიგნი. არის სურვილებების რვეული, სადაც პიონერები სწერენ წაიკითხული მასალის შინაარსს, თავის შეხედულებებს და მართავენ ლიტერატურულ გასამართლებას.

მე ძალიან დამაინტერესა მოსკოვის პიონერების ერთმა მნიშვნელოვანმა მუშაობამ. ყოველთვიურად იმართება პიონერთა სლაიმი, პიონერები აწყობენ გამოცემებს, შეეკვირა ჩაის, თან აყენებენ სხვადასხვა საკვებს და კამათობენ მათ შესახებ, აწყობენ მასიურ ცეკვას, მღერიან რეველუციონერ სიმღერებს და საერთოდ კულტურულ გართობაში ატარებენ თავისუფალ დროს. უნდა ითქვას, რომ პიონერთა მეგობრულ სლაიმიც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო მუშაობაში—პიონერები ამით უახლოვდებიან ერთმანეთს, ეჩვენებენ კოლექტიურ ცხოვრებას და საერთოდ ეს გათობა აცხოველებს პრაქტიკულ ინტერეს კოლექტივის მუშაობაში.

დაბს, პიონერ მეგობრებო, თქვენ უნდა ისწავლოთ მოსკოვის პიონერებისა და გადმოდინოთ ყოველი კარგი მათი მუშაობიდან.

ჩვენმა ბაზამ ხელშერკულება დასლო მუშათა სასახლის ორანიზებთან საერთო საზოგადოებრივი მუშაობის შესრულების საქმეში; პიონერები ასრულებენ პროფესიონალური ორგანიზაციის დავალებებს, აერთიანებენ კლუბს მოწყობა, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების წევრთა გამოკრება, მუშათა ვახეთების გაერკლება, პლაკატების წერა, წიგნების აკინება და სხვა მათი საქმეა, მეორეს მხრივ სასახლის ორგანიზაციები გეგმებარებიან როგორც საერთო მუშაობის ხელმძღვანელობაში, ისე მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ვალკო გოლაძე

(მოსკოვის პიონერბაზის ხელმძღვანელი)

ყველა პიონერს, მოსწავლეს, ხელმძღვანელს და მასწავლებელს



გამძაფრებულ კლასიურ ბრძოლაში იბადება ახალი, კოლმეურნეობათა სოფელი. ათასი ხაკითხი
აღელვებს დღეს სოფლის პიონერებს, პიონერმუშაეებს და მასწავლებლებს

როგორ იძუშან ასლა, ბრძოლის რამდელ დარგებში გაერთიანდენ პიონერული ძალები,
როგორი მეთოდებით ებრძოდენ კულაკებს, როგორ გარდაიქმნას ბავშების სწავლა,

უოფა და შრომა ახალ სოფელში?

■ რ მ გ მ რ? ■

ყველა ამ საკითხზე დაწვრილებით პასუხს მოგცემსთ სპეციალური
სასოფლო ნომერი

ქურნალ „პიონერი“-სა

რამელიც აკრილუი გამოცა

ნომერი გვიამგობს:

როგორ შევაკავშიროთ პიონერული ფრონტი სოფლად, კო-
ლექტივიზაციის რომელ უბნებში იბრძოდენ პიონერებმა.

რისთვის იბრძოდენ კოლმეურნეობის შიგნით, როგორ მიი-
ღონ მონაწილეობა განკულაკების საქმეში.

როგორ მოეწყოს კოლმეურნეობებში ბავშების შრომა და
სწავლა.

როგორი სკოლისათვის უნდა იბრძოდენ ახლა სოფლის პი-
ონერებმა.

რა ფუყოთ ბავშთა კოლმეურნეობებს და საჭირო არიან თუ არა
ისინი ახლა.


რა უნდა გააკეთონ პიონერრაზმებმა თესვის დროს, როგორ
მოვექცეთ კულაკების ბავშებს.

რაში გამოიხატება ქალაქის რაზმების მოვალეობა დღეს სოფ-
ლის მიმართ.

რა უნდა გააკეთონ ქალებმა კულაკების, როგორც კლასის, ლი-
კვიდაციასთან დაკავშირებით.

ყოველგა მასწავლებელგა. რაზმის ხელმძღვანელგა, პი-
ონერგა და მოსწავლემ დააკრიტი ფისით უნდა გაავრცე-
ლოს ეს ნომერი სკოლაში, რაზმში,
კოლმეურნეობაში.

როგორ მოვაწყოთ ელექტროსანთი



თუ გაქვთ საკმარისი მოთმინება და გეხალისებათ კიდევაც ხელგარჯილობა, შეგიძლიათ მოაწყოთ ძალიან საინტერესო სათამაშო-გასართობი და ამასთან სასარგებლო ხელსაწყო—ელექტროსანთი. ყველაფერს თქვენივე ხელით მოაწყობთ, გარდა ერთი ნაწილის: ჯიბის ფანრის ბატარეის, მაგრამ ეს არ დაგაბრკოლებსთ,—ასეთი ბატარეები იშოვება ყველა ელექტრომაღაზიაში და იაფად არის.

თუ ბატარეა ნაშოვნი გაქვთ, შეუდგეთ ელექტროსანთის მოწყობას.

სქელი ქაღალდისა ან მუყაოსაგან შეაწებეთ ოთხკუთხოვანი ყუთი ისე, რომ მასში თქვენი ბატარეა ჰქონდეთ შედიოდეს.

ახლა აიღეთ ძაფის ცალიერი კოკი. მის ხერვლში გაატარეთ რკინის რამდენიმე ლურსმანი (ისე, რომ ლურსმანი გაიჭედოს ხერვლში) და ზედ კოკზე დაახვიეთ სპილენძის წვრილი მავთული; ამ მავთულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემოხვეული აბრეშუმის ძაფი, მას განმხოლოვებელ მავთულს უწოდებენ. დახვევა კოკზე საჭიროა ისეთი ხერხით, როგორც ჩვეულებრივად ახვევია ზედ ძაფი, ე. ი. ხვეული ხვეულის გვერდით მჭიდროდ უნდა ეხვეოდეს.

ორი-სამი ფენა მავთული იკმარება. მავთულს ორი თავისუფალი ბოლო ექნება.

ერთი ბოლო გასწმინდეთ დანით აბრეშუმისგან და ეს ტიტველი მავთული შემოახვიეთ თოფის გასროლილ ვაზნას, კოკის მეორე ბოლო შემოახვიეთ ბატარეის ერთ-ერთ ფირფიტას.

ვაზნაში ჩასდეთ სპილენძის მსხვილი მავთული ისე, რომ იგი ვაზნის ფსკერს ან გვერდებს აუცილებლად ეკარებოდეს, და ცალიერი ადგილი აავსეთ ბამბით, საჭიროა, რომ ბამბა ცოტათი მაღლა იყოს ვაზნაზე.

ბამბა დასველეთ ბენზინით და ამით თქვენი ელექტროსანთი დამთავრებული იქნება.

თუ მისი საშვალებით ცეცხლის მიღება დაგჭირათ, ბატარეის თავისუფალ ფირფიტას მავთულის პატარა ნაჭერი მოაბით და მიაკარეთ იგი ვაზნის შუაგულში მოთავსებულ მავთულს.

ამ დროს გაჩნდება პატარა ნაპერწყალი და აანთებს ბენზინს, რომლითაც თქვენ ბამბა გაქვლეთ.

ბენზინი ადვილად აორთქლდება და ბამბის დასველება ბშირად დაგჭირდებათ, რომ დაიცვათ ბენზინი აორთქლებისაგან, შეუღრიეთ ვაზნას რაიმე სახურავი, სჯობს, რომ იგი ლითონის იყოს.

შევაპროვები

ქ. სურამის ნ/პ. პირველმა კოლექტივმა ერთი თვის განმავლობაში შეაგროვა 2080 კილო ნელღეული.

პიონერები შეჯიბრში იწვევენ ერთიმეორეს, გრძელდება ნელღეულის შეგროვება.

ბავშვობრი პუშ

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.